ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5893155

ნომერი: AR1891696

თარიღი : 07.04.2022

გაცემის თარიღი : 12.04.2022

გაცნობის თარიღი : 14.04.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სესილია თაყაიშვილის ქუჩა, N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თემურ მალანია პ/ნ 62007004127
- გაგრა გუდაუთის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- მაღაზია
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ენსი გრუპი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405186365
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნანა კვანტალიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62001018694

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5871747
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 30.03.2022

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. განაცხადის ნომენკლატურა საჭიროა არჩეულ იქნას შეთანხმებული პროექტის ცვლილება და მშენებლობის ნებართვა, აღნიშნულისათვის საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

2. როგორც წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან დგინდება, კორექტირებით ჩასატარებელი სამუშაოები ნაწილობრივ ან სრულად უკვე შესრულებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ“. ჯარიმის გადახდის ქვითართან ერთად, დამატებით წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (ყოფ. ზედამხედველობის სამსახურის) მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევასთან დაკავშირებით.

3. 05/11/2021 წლის № 5672478 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტისა და კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით, მშენებლობის ნებართვის გაცემიდან უნდა განხორციელებულიყო მშენებლობის რამდენიმე ეტაპი, ხოლო სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის თითოეული ეტაპი ნებართვის მფლობელს უნდა ეცნობებინა საჯარო ზედამხედველობის ორგანოსათვის მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი იქნას მუნიციპალურ ინსპექციაში წარდგენილი წერილები რომლითაც ეცნობათ თქვენ მიერ შესრულებული მშენებლობის ეტაპების დასრულების თაობაზე № 5672478 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. იმ შემთხვევაში თუ არ განხორციელებულა საჯარო ზედამხედველობის ორგანოსათვის შეტყობინების სახით მიმართვა კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული თითოეული ეტაპის დასრულებასთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი და დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელ ქვითრი.

4. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:
მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი გადახდილ იქნას კორექტირებით ნამატი კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის გაოთხმაგებული ოდენობა.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.